



შაბათი 19 ივნისი.

ფ ა ს ი 10 კ.

№ 38—1915



ბესიკი ცხოვრობდა მეფურამეტე საუკუნეში, ერეკლე II-სა და სოლომონის მეფობის დროს. ქართლ-კახეთიდან გაქვევებული, სოლომონ მეფემ დიდის პატივით მიიღო; გაგზავნა ახალციხეს, საიდანაც ბესიკ-

მა 60-დე ქართველი კათოლიკე გადაიყვანა ქუთაისს, რომელთაც აქ ვაქრობა გააჩადეს. ბოლო ხანს ბ-კი სოლომონმა დესპანად გაგზავნა რუსეთს. მისი ლექსები საუკეთესოდ გამოისცა სიტყვა კაზმულმა საზ-ამ.

ოსანი ბესიკი—ბესარიონ გაბაშვილი (1742—93) იველი ნახტიდან (ფ. ჭიჭინაძის „ქართ. სტამბის ისტ.“)

19 მანქანისთვე

როდემდის? ქართული თეატრისა და „ახალი კლუბის“ მესვეურთა ურთიერთ მიწერ-მოწერა კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს, რომ ქართული სცენა უპატრონოდაა მიტოვებული, რომ ჩვენს საზოგადო დაწესებულებათა სათავეში უმეტესად პირადი ჟინით ატაცებული, მოქანცული ანუ ეროვნულად ბეცი ხალხი სდგას..

..ერთი ჯგუფი მეორეს ებრძვის, ქართული თეატრი და მისი ქურუმნი-კი — მრავალწამებული ქართველი მსახიობნი შუა იქყლიტებიან...

ან როგორ შეიძლება იმათი იმედი ვიქონიოთ, რომელთა მარწმუნებელთა დიდი უმეტესობა მთელ დამეებს ლოტოსა და ბაკრაშია ცხვირ-ჩარგული, დროთი დრო უგემური ოპერეტებით ერთობა, თავის ბედს სინემატოგრაფის ტილოზე კითხულობს, საკუთარ მუცელს ჩასტირის და მთელი თვისი არსებით ქართველთა გადაგვარებას უწყობს ხელს...

სხვანაირადაც არ შეიძლება. როგორ იქნება ჩვენს წესზე ვაწირვინოთ იმათ, რომელთაც დედის ძუძუსთან ერთად უცხო კულტურით უსუნთქნიათ, უცხო ზნე-ჩვეულებანი შეუთვისნიათ და ქართველობას მხოლოდ გვარიდა შერჩენიათ...

გულითაც რომ უნდოდეთ, არ შეუძლიანთ.

ეს რომ შესძლებოდათ, ქართული ხელოვნების ტრაპეზს, იმ ტრაპეზს, სადაც ჩანთქა ქართველი მსახიობის მრავალ წელთა ნარუქი, და რომლის კვერღზედაც აღიზარდა „ახალი კლუბი“, ასე აბუჩად არ მოგპყრობდენ, თუნდა დრამ. საზ-ის გამოცობას „მორსგამჭვრეტელობა“ ვერ გამოეჩინა...

მაგრამ ასე სჯობია!.. ამ გარემოებამ კიდევ ერთხელ ნათელ ჰყო, რომ საქირია დროით ვიზრუნოთ საკუთარი ეროვნული თეატრის ასაშენებლად, თორემ მუდამ კარდაკარ ხომ არ უნდა იწანწალოს ჩვენმა მკლპომენამა და მისმა ქურუმმა, რომელმაც დაუფასებელი ღვაწლი შეიტანა ქართველთა გათვითცნობიერებაში...

როდემდის, როდემდის უნდა შევეყუროთ სხვას ხელში?!

# მეფე და მისი მეზალე

(ძველი ზღაპარი \*)

იყო და არა იყო რა, ღმერთის უკეთესი რაღა იქნებოდა, იყო ერთი დიდებული მეფე, რომელსაც ჰქონდა ერთი მშვენიერი წალკოტი—ბალი.

მის ბალში მიფრინდა ერთი ბუღბუღილი, ბუღე გაიკეთა და კვერცხები დასდო.

გულ-გახეთქილი მეზალე მივარდა მეფესთან და შესჩივლა მწუხარებით:

— დიდებულო მეფევი!..

— „რა იყო, შვილო?“

— ერთი ბუღბუღილი მოფრინდა შენს ბალში, ვარდის რტოზე ბუღე გაიკეთა და კვერცხებიც დასდო!

— „არ შერჩება, შვილო, დამშვიდდი!“

როდესაც ბარტყები გამოჩიკა, კვალად მივიდა მეზალე და სევდიანად შესჩივლა მეფეს:

— დიდებულო მეფევი! ბარტყებიცა ჰყავს იმ ბუღბუღლს.

— „არ შერჩება, შვილო, დამშვიდდი!“

მართლაც, არ გამოსულა დიდი დრო, ერთი გველი აცოცდა, ბუღეში რაც ბლარტები იყო, სულ გადაყლაპა. გაიქცა მეზალე მეფესთან და მოახსენა:

— დიდებულო მეფევი! როგორ მალე აღსრულდა შენი წინასწარმეტყველება!

— „როგორა, შვილო?“

— ის ბლარტები გველმა გადაუყლაპა!—

— „არც იმ გველს შერჩება!“

გაიარა რამოდენიმე დრომ და, როდესაც მეზალე ჰქთიბავდა ბალახს, ის გველი სათიბელათი შუაზე გადასხიპა. მეზალე საჩქაროდ გაიქცა მეფესთან და მოახსენა:

— „დიდებულო მეფევი! როგორ მალე შესრულდა შენი წინასწარმეტყველება.

— „როგორა, შვილო!“

— ის გველი მე შემომესხიპა თიბის დროს სათიბელათი.

\*) ეს ზღაპარი ამოგვიწერა თავისი ძველი კრებულდან ერთმ, ჩვენმა ცნობილმა სასულიერო მოღვაწემ.



† მ. გ. საგინა

რუსეთის სახელგანთქმული მსახიობქალი, 15 წლისამ დაიწყო სცენაზე მოღვაწეობა, სიმპ. თეატრში შევიდა და მალე რუსეთის სცენის მშენებელი შეიქმნა. საქართველოშიაც რამდენჯერმე ყოფილა. გარდ. 8 ენკ. დაბადებიდან 62 წლისა.

— „არც შენ შეგვჩეხება!“

გაიარა ცოტა დრომ და მებლეს რალა-ცა უბედურება შეემთხვა, რისათვისაც იმავე მეფემ გადაუქრა მას სიკვდილით დასჯა.

მებლემ ითხოვა მეფის ნახვა პირადად

— დიდებულო მეფევ! ორი სიტყვა მომისმინე და შემდეგ აღსრულდეს შენი ნებაო.

— „აბა მითხარი, რაც გაქვს სათქმელი.“

— დიდებულო მეფევ: აი რა მინდა მოგახსენო: ბუღბუღს არ შეჩჩა, შენს წალოკოტში ბუღე რომ გაიკეთა და შეიღები გამოჩიკა; ბლარტები გველმა გადაუყლაბა და ის გველი ხომ მე შემომსხიბა.. ჩემი სიკვდილი, იცოდე მეფევ, არც შენ შეგვჩეხება. ქვეყნიერებაზე ვგრე მომდინარებულა, უსამართლოება საბოლოოდ არსად არ გამარჯვებულა და არავის შეჰჩეხენია!

დიდ გულისხმიერებას მიეცა მეფე და შემდეგ დიდის ფიქრისა ბრძანა: „განთავისუფლეთ ეს მებლდე და მიჩუქებია მაგიათვის სიცოცხლე!“

რაკი მეფემ ბრძანა, განათავისუფლეს მებლდე.

მორწმუნე

მაყურებელი

ჩვენ შედარებით ბევრს ვწერთ თეატრზე, ხელოვნებაზე, მის მიმართულებაზე და სხვა.

და როდესაც ამაებზე ვწერთ, უსათუოდ მხედველობაში გვყავს (უნდა გვყავდეს მა-

ინც) მაყურებელი, მსმენელი, წამკითხველი. ერთის სიტყვით ის ადამიანი, რომელიც განიცდის ყურით თუ თვალით, გრძნობით თუ გონებით შენაქმს ხელოვნებისას.

ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ მე მგონია ძალიან ნაკლებ ვიცნობთ ჩვენს მკითხველებს, ჩვენს მსმენელებს და განსაკუთრებით ჩვენს მაყურებლებს.

მაყურებლები!

ვიცი, რომ ეს სიტყვა დღეს-დღეობით ცოტა სამარცხვინოა.

დღევანდელი კარგი თეატრი მაყურებლებს კი არა, მსმენლებს ითხოვს. მომსმენი სჭირდება.

მაყურებელს უკვე გაუჩნდა მისი საქმე— სინემატოგრაფი, ინიტომ, რომ ის, რაც მხოლოდ მაყურებელი იყო ანუ უკეთ სანახავი თეატრში, სინემატოგრაფმა ჩამოართვა მას. ჩამოართვა და უკეთესის ხელოვნებით, უფრო ფართოთ მიაწოდა მაყურებელს. ტილოზე დახატულ მთების ნაცვლად მან უჩვენა პირდაპირ მონზლანი, კარდონზე მოჩუქურთმებულ სვეტების ნაცვლად— პირდაპირ აკროპოლისი.

მხოლოდ თეატრს ვერ წაართვა მისი მთავარი „სული ცხოველი“, ძალა ბგერათა, შემოქმედებისა, ძალა სიტყვისა. ამას ერთგვარი მსმენელი უნდა და ეს მსმენელი ჰყავს სხვაგან თეატრს, ხოლო ჩვენში თეატრი მოითხოვს ამ მსმენელს.

ჩვენ კი ჩვენ მიერ დაწუნებული მაყურებელი გვყავს.

მხოლოდ მაინც საჭიროა ვიცოდეთ ვინ არის ეს მაყურებელი? ვისგან შესდგება? რა წრისაგან?

როგორც ხედავთ, ეს ძალიან რთული საკითხია. რადგან ეს უკვე შეეხება მთელ საქართველოს, მისი კულტურულ განვითარების ავლა-დიდებას, მისი განათლების საზომს.

და თუ ამას გავიგებთ კულტურის რომელ საფეხურზედა დგას დღეს საქართველო, იმ კულტურის, რომელიც სწამს ან სწამდა მაინც აქამომდე კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს! თუ ამას გავიგებთ, მაშინ ზემო-მოყვანილ კიბეაზედაც პასუხა მზად გვექნება.

მაგრამ სადა გვაქვს ამის სტატისტიკა? აქ ჩვენი სკოლებისა და მათი რაოდენობის ჩამოთვლა ცერ გვიშველის.

აქ უნდა მიღებულ იქმნას მხედველობაში, როგორც ეს სკოლები და იქ მოსწავლენი, აგრეთვე რუსეთისა და საზღვარ-გარეთის უმაღლეს სასწავლებელში მყოფნი, მათი ყოველ-წლიური კადრი, ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა, წიგნის გამომცემლობა, თეატრები, კულტურული დაწესებულებანი და... გათავდა. შეიძლება დამავიწყდა რამ, მაგრამ სხვა ბევრი აღარაფერი უნდა იყოს, სამწუხაროდ, ჩამოსათვლელი.

და აი ყველა ამათი სურათიც რომ გვექონდეს მაინც, მე მგონი, სინამდვილეს ვერ გავითვალისწინებთ. ეს იქმნება მხოლოდ დაახლოვებით.

დაახლოვებითად კი, მე მგონი, ყველა შეგნებულ ქართველს შეუძლიან თამამად სთქვას, რომ ჩვენი კულტურული საფეხური არაა მიანცადამაინც მაღალი.

მაშასადამე ამ საფეხურისა გვყავს თეატრის მაყურებელიც და როგორც სხვა სფეროში, ისე ამ მაყურებელთ შორისაც უმეტესობა მხოლოდ ისეთია, რომელსაც მხოლოდ წერა-კითხვა აქვს შესწავლილი ე. ი. ისეთი წერა კითხვა, რომ შეუძლიან დასწეროს კორესპონდენციაც კი, შეიძლება ლექცი, თუნდა ღრამაც, მაგრამ მცოდნენი კი არა გვყავს (უმეტესობაში რასაკვირველია). აი ისინი, ვისაც რუსები грамотный-ს ეძახიან, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

მუშები, ნაქრები, იქა-აქ გლეხობა (განსაკუთრებით სოფლად), წვრილ მოხელეობა, წვრილივე მრეწველ-მოვაჭრები, ბოგანო ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზღვრება.

აი ჩვენი აუდიტორია.

ცოტა უფრო ხორც-შესხმული ვაქრობა, საზოგადო თუ სახელმწიფო სამსახურში ცოტა დიდ ადგილზე მყოფი ინტელიგენტები, თავდა-ახნაურობის ჯერ კიდევ გაუჭირვებელი ნაწილი—ესენი ხომ, როგორც ვიცით, არა სწყალობენ ქართულ თეატრს.

ესენი უფრო „საპარადოთ“ გამოიფინე-

ბიან ხოლმე: იუბილეებში, ბენეფიკებშიც ზოგჯერ და კიდევ რამ ესეთ „მიუცილებელ“ საღამო-წარმოდგენებზე.

მთლად გადაგვარებულებს ხომ სრულიად არ ვანგარიშობ, რომელთაც ხეირიანად არც კი იციან გვაქვს ქართულს ენზე ლიტერატურა და თეატრი თუ არა.

და აი, როგორც არა ერთხელ უთქვამთ, ხალხი, მისი უფრო შეგნებული ნაწილი დადის თეატრში, ის აზურებს ჩვენს სცენას.

რალა თქმა უნდა, რომ ამ მაყურებელთა შორისაც მოიპოვებინ სრულიად მომზადებულნი პიროვნებანი, მაგრამ უმეტესობა კი გემონება განუვითარებელია, გრძობა ქმეუთამაშებელი. ამიტომ მისი მოთხოვნილება თითქო პრიმიტიულია, მისი განცდა არა რთული, მაგრამ სწორედ აქ ხდება სასწაული: კარგად დადგმული, კარგად წარმოდგენილი პიესა, თუნდაც რთული იყოს მისი შინაარსი, მაღალ-ფარდოვანი მისი მეტყველება, მაინც აკმაყოფილებს ამ მაყურებელს და ეს არის კიდევ სანუგეშო.

ეს, ჩემის ფიქრით, მისი ზრდის მაჩვენებელია, მისი განვითარების დაწყებისა.

ხოლო როგორ ეტყევა იგი ამ თეატრს! ეს განსაკუთრებით უნდა ნახოთ პროვინციაში. ორშაურიანი, შაურიანი ბილეთი არასოდეს არა რჩება გაუყიდველი. ეს იმის მომსწავებელია, რომ მას სწყურია ცოდნის შეძენა. იგი იხრჩვება უცოდინარობაში და აი, სხვათა შორის, ეტანება თეატრსაც. გასავალი უნდა მოუძებნოს თავის საკეთილო ენერგიას.

შეიძლება ზოგიერთმა სთქვას—სად ცოდნა, სად თეატრი!

მაგრამ მე თეატრს არ მიწდა ჩამოვაშორო არც ერთი მისი თვისება, რომელიც კი მას ახლავს.

მე მიწდა, როგორც არა ერთხელ მითქვამს—თეატრი იყოს ერთსა და იმავე დროს სკოლა, ტანჯვა და საწყევ.

და მაღლობა ღმერთს, რომ ჩვენში ვერ გაიმარჯვა ფრანგულმა შეხედულებამ—თეატრი გასართობი დაწესებულებაა, ინტელიგენტ-ბურჟუას აშლილ ნერვების დამამშვიდე-

ბელი, ნელიად მოლიტინე, ტბილი ღიმილის მომგვრელიო.

სწორედ ეგ ხალხი, ჩვენი ხალხი თითქო ინსტიქტიურად გრძნობს თეატრის მაღალ-კულტურულ მნიშვნელობას და აკი მიტომ ეპყრობა სათანადო მოკრძალებით, მიტომ ეტანება ეგრე ხალისით.

ჩემის დაკვირვებით ნაკლებ შემიმჩნევია ამ ხალხში სასერიოდ მოსულეზა და თუ შემიმჩნევია—სულ სხვა წრისა, სხვა ელემენტების.

ამიტომაც ჩვენი თეატრი სწორედ ის დაწესებულეზა უნდა იყოს, რომელიც თავს უყრის ეგრე ჰარმონიულად ყველა სხვა ხელოვნების დარგს—მათერობას, ქანდაკებას, მუსიკას, პლასტიკას, ხელოვნურ სიტყვას და თან უნდა იყვეს მწვრთნელი და ამამღლებელი გონებისა და გრძნობისა. ერთის სიტყვით ჩვენი თეატრი უნდა იყოს თეატრი ამ სიტყვის მაღალი მნიშვნელობით და სხვა არა რა. ესეთი მდგომარეობა კი, მე მკონი, სრულიად არ ამცირებს თეატრის მნიშვნელობას არც საზოგადოთ და არც ჩვენთვის საკუთრად.

ხოლო თუ ესეთი იქმნება ჩვენი თეატრი, მაშინ ნახეთ როგორ გაიზარდოს ჩვენი მაყურებელიც და როგორ ღირსი შეიქმნეს იმ სამაყო სახელ-წოდებისა, რომელიც დღეს თითქო სამარცხვინოდ არის მიჩნეული.

მე ეხლა ვამბობ სიტყვა „მაყურებელზე“. ჩვენ როდესაც ამ სიტყვას ვკილავთ და მსმენელი გვინდა მოვათხოთ, გვინდა რომ რუსულად ვაზროვნებთ. „Зритель“ (მაცქერალი) და „Слушатель“ (მსმენელი).

რალა თქმა უნდა „Зритель“ ები (მაცქერალი) არ გვინდა, ან როგორც ზევით წამომცდა—სასერიოდ მოსულნი, სერიოზო ხალხი. აკი ამ გვარ ხალხს სერიოსის გ უჩნდა-მეთქი თავისი საქმე-სინემატოგრაფი, თუმცა იქ სიტყვა მაყურებელი შევიტანე. მაგრამ ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ თვთ სინემატოგრაფიც არ მიმიჩნია სასერიო რაჟედ: იმასაც თავისი მაყურებელი სჭირდება. რა ვუყოთ, რომ დღეს სინემატოგრაფში უფრო სასერიოდ დაიარებიან, საქმე თვით საგნის გამოყენება,

როგორ მოიხმარ, თორემ ევროპიელებმა ზოგან თვით თეატრიც კინალამ სასერიოდ აქციეს. ხომ არსებობს ლიტერატურაც „ბუნლვარული“.

მ. შასადაძე ჩვენ უფრო რუსული „Слушатель“ (მსმენელი) გვებიანება ჩვენი თეატრისათვის, ე. ი. ისეთი კაცი, რომელმაც გაგვიგოს, მხოლოდ ერთი ამბავია—მარტო მსმენელიც არ უნდა გვსურდეს, თორემ მარტო შეგნებულ მსმენელს, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნება ძალიან უყვარს, ხომ მარტო ლექციებიც დააკეთაფილებს.

ჩვენ სწორედ ის გვინდა, რაც ასე სხარტათ გამართქვამს ჩვენს ხალხს ერთს სიტყვაში—მაყურებელი.

ყურება, როგორც ვიცით, იზარება ცქერის ალავასაც, მაგრამ ხომ გრძნობთ, რომ ამ სიტყვაში სასმენელ ორგნოსაც დიდ-ადგილი აქვს დათმობილი. მაშასადამე ქართველი მაყურებელი თვალთ რომ განიცდის, იმავე დროს ყურით ისმენს და ჩვენც სწორედ ეგეთი მომსვლელი გვინდა თეატრში: თვალთ ნახოს და გრძნობა შეუთამაშდეს, ყურით ისმინოს და გონებაში მუშაობა უწყოს.

მამ დავსტოვოთ ჩვენი „მაყურებელი“ და ჩვენი თეატრის ამდღებით ვეცადნეთ მისი თვალის გახელა! (გრძნობის გამრავალფერებას) მისი ყურის სიმახვილეს (გონების განვითარებას).

*გვარამია*

# გოგოთურ და აფშინა

(გავრძელება იხ. „თ. ლ. ც.“ № 87)

დ) გოგოთურის უაღრესი კაცთმოყვარეობა. გოგოთური ტიპური წარმომადგენელია იმ ქართველ შთიქლთა, რომელთაც მტერთა შეტრა ჯებანე ცხოვრების დროს შეეწკაოთ. გოგოთური დარბაზი აღამაჩია, დად ბუნებოვანია, რჩეული გვამა. მან ეს დაამტკიცა აფშინასთან შეხვედრას ქამს აფშინა უბიძებს მას იანადის ჯურას გოგოთური ფიქრობს საწეულად ეჩვენოს, ეხვეწოს, თავა იმდაბ-

ბელოს, რათა შეიტყოს, თუ რას უზამს ნაცვ-  
და... გოგოთური ეგედრება:

„თუ მართლა აფშინაი ხარ,  
იარაღთ რადა მყარი ძმისაო,  
უიარაღო გამიშო,  
ხათრი არა გაქვს ღვთისაო?!  
სუ, თუ ღმერთი გწამს, აფშინავ,  
სირცხვილს ნუ მაქმევ, ძმობასა,  
ქულ-მოხდილს ქვეყნად ნუ მავლებ,  
პირში ნუ მიმცემ გამობასა.

კაცი ხარ სახელოვანი,  
რად მიწევ აგრე მტრობასა?!

მატრამ ვერა გაწეო რა გოგოთურმა, აფშინამ  
არ შეისმინა მისი სვეწნა და წართვა იარაღი  
და ცხენი... ასლს კი ველარ მითმინა და, ვა-  
ყას სიტყვით:

„ხელი გაავლო აფშინას,  
დაღვა, დაბეგვა ძალიან,  
გადაფითრებულს აფშინას  
სატირლად აღარ სტალიან,  
მაგრა შაკონა ბეჩავი,  
ისე დაავლო გზაზედა...“

გოგოთურმა თავის მსრით წართვა ფარი,  
ჩაჩქანი, სმადი და ცხენი...

შეკრული აფშინა გულის ხმაში ჩავარდა  
და თითქოს შეინანა თვისი შეცდება. შეტი  
რათა გზა ქქონდა? ეუბნება გოგოთურს:

„გაქებდენ, კარგი ყოფილხარ,  
კარგი გქონია მარჯვენა,  
ფიც-ვერცხლი ვსქამოთ, გოგოთურ,  
ჩემნი იარაღნი მომცენა,  
მრცხვენია, ამას რომ ვამბობ,  
მიძმე და მომეც აბჯარი,  
თუ არა, ბევრად მირჩვენავ,  
რო გულში ჩამცე ხანჯარი.“

აფშინა ეხვეწება გოგოთურს დასდგან ძმობის  
ფიცის, რეგარც ეს წესი იყო მთიელთა  
შორის. მართლაც გოგოთურმა განთავისუფლდა  
აფშინა და სიკვდილის ნაცვლად დაუბრუნა უფვე-  
ლივე წართმეული. ამით გამართეს ნადიმი, დაიწ-  
ვეს ბრყის სმა, დალოცეს ერთმანეთი და მერე  
ერთმანეთს ძმობა შეფიცეს ანუ ფიც-ვერცხლი  
სქამეს.

„აფშინამ ხანჯრის ბუნისა (ტარისა)  
ვერცხლი არაყში ჩათალა,

ორთავ დალიეს ერთადა,  
ორთავემ ყანწი დასცალა,  
იფიცნეს. ახლა ძმანია,  
ვით ერთი ღვდის შვილები...  
ახლა უმღერეს ზედაცა  
ერთურთს სიმღერა ტკბილები,  
მერე წავიდნენ ცალ-ცაკე  
თავთავის გზაზე გმირები.“

რა მომსახლეა სურათია ყოფილი მტრების  
ერთობისა! რა ხასიათის კეთილშობილებითაა  
დაჯილდოებული გოგოთური! კურთხეულ იყოს  
ის მიწა, სადაც ის იშვა ქებულ-დიდებული ის  
დედა, რომლის ძუძუსაც სწოვდა... აღარ ცსურთ  
გონებიდამ განიშორათ გოგოთურის ზნეობრივი  
მიმზიდველობა და მზად ხართ ატაროთ მისი  
სახე კუბოს ფიცრამდის... სანამ წანართმევს  
დაუბრუნებდა აფშინას, გოგოთურმა გაქციტა  
იგი იმის გამო, რომ თავისი სსეულის სიძლიე-  
ტეს ის ხმარობს ძმის დასანაგრავად, რომ და-  
დის ცუდ გზით და მით არცხვენს გმირის სა-  
ხელს... აფშინამ არ იცის და ან განძკას არ  
უნდა იცოდეს გმირის ნამდვილი საგანი, მისი  
სანატრიონი... გოგოთური ეუბნება განზე  
მოსულს აფშინას:

„რას დაძრწი, რას დაეთრევი,  
შე უნამუსო ფაფხურა,  
რო წისქვილებში მსუნავი,  
ქურდი, ქოფაკი, შიფ-ყურა?  
გშიოდა, რატუ არ მითხარ,  
გაქმევდი, გაგაძღებდი...  
შენ გიცარცვია, ვინაცა  
საბრალო არის ბეჩავი,  
თვის ღღეში ომ-უნახველი,  
ლიატო ნალახის მხვეტავი...“

გოგოთურს სიარცხვილად მიანჩნია ატარებ-  
დეს მტარცვა გმირის იარაღს... აფშინას ეუბ-  
ნება:

„ამე შენ იარაღნი რად მინდან,  
სიმრუდის გზაზე ნავალი?

სუჯდრქელი გმირი ძაღვს აფშინას უგვლა-  
ფერს, რაც წართვა და თანაც შებოჭავს მას  
ძლიერ და სსშიში ფიცით:

„აჰა აბჯარი, ცხენიცა,  
წადი, მშვიდობით ვლიდია;  
სადაც შენი სიტყვა ბიჭობა“

იქვე ჩემი სთქვილია;  
 გარისხებ ხახმატის ჯვართა,  
 აი კობალიც ეს არი,  
 რომ ყველა სიმართლითა სთქვა,  
 რაც რომ დაგედვა ბეგარი“.

ნახსენებია ხახმატის ჯვარი და კობალი.

ხახმატის ჯვარი, ზრდო. ი. ჯავახიშვილის  
 სიტყვით, შეერთებულია წმ. გიორგის სახელ-  
 თან. ქართველი ერი წმ. გიორგის უველანზე  
 შეტად თავგანსა სტემს, საქართველს შრავალს  
 ადგილს აღმუხებულა ტაძრები იმისი სახელი-  
 სს. აქ იმდენი წმიდა გიორგია, რამდენიც დღე  
 აქვს წელიწადს. ქართველთა სარწმუნოებრივს  
 შეტებებში წმ. გიორგის ზირველი ადგილი უკა-  
 ვია, მეორე ღმერთს შემოქმედს, სოლო მესა-  
 მე წმ. ილიას. ფშავლების და ხევსურების  
 ხევის ბერები წმ. გიორგის ზირდაზირ ღმერთად  
 ისხენიებენ: „ღმერთო ისინჯის წმ. გიორგი“  
 ასე იწუებენ ღოგვს... სჯანებიც გიორგის ღმერთი  
 მსგავსად თავგანსა სტემს და ღმერთზე ძლიე-  
 რად მიაჩნიათ. ხევსურეთში ხახმატის ჯვარი—  
 წმ. გიორგის ტაძრად ითვლება. დღესაც ხალ-  
 ხის წარმოდგენაში ძველ წარმართულ უფროსი  
 ღვთაების ადგილი უკავია (იხ. ქართველი ეკის  
 ისტორია. წიგნი ზირველი 103—105 გვ.). აგ-  
 რედვე ძლიერ ღვთაებად ითვლება მთიულთა  
 წარმოდგენაში „კობალი“, რამელიც ზოგაერ-  
 თის ჭზრით იგივე წმ. გიორგია და სხვების  
 ჭზრით კი სულ სხვა ღვთაება... (იქვე გვ.  
 143—145).

აფშინა იყოლებული იქნებოდა უველან-  
 სთვის ეამბნა თავგანსავალი, და ამ თავ-  
 განსავალში ჩაქსოვილ იყო მისი რაინდობის  
 შერცხვენა, მისი გმირული სახელის გატეხა...  
 და სწორედ ამ თავგანსავლის სხვებისთვის  
 შეტეობინება დაეკალა ფიცით აფშინს... ვაჟამ  
 იტლდა აფშინას სულის მთელი ტრატედი იმ  
 ჟამს, როდესაც ასეთი ფიცის შემდეგ გოგო-  
 თურმა ის განათავისუფლა... გოგოთურმა

„გაუხსნა ხელები,  
 წამოაყენა მხეღარი;  
 ადგა ბეჩაიე აფშინა,  
 თვალ-მოტრემილილი, ლურჯია,  
 — მეგონა თავი, ამბობდა,  
 გაუტებელი ბურჯია,  
 ეხლა სჯობს სახლიჩი ვიმალო,  
 თავზე დავირტყა გურჩია. (ქვასანაუი,  
 ფილთა-ქვა)

ილ. ფერაძე

(გაგრძელება იქნება)

# ბელნიერი ღღე

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 37)

მგ. (შიუშვერს ჭიქას) და რიდგანაც,  
 ქალბატონო სალომე, აპოლონისთვის მხოლოდ  
 მარტო „პრასტოია“ წერილებით გივზავნით,  
 თქვენი მანეთიც ჩამოაგდეთ აქ.

საოლ. (დოფანზე ხელს შემოიკრავს) უი ქა!  
 ეს რა მომივიდა! (ჩასდება მანეთს)

კოტე. და რიდგანაც, ბატონებო, სა-  
 ლომემაც გვიღალ ტა, ფულები ისევ ბატონ  
 ეგნატეს გადაეცეს ვასავზავნად, როგორც  
 მასპინძელს და გამოცდილ ფოსტალიონს.  
 (სკერთო მხარეულებს და სიდიო)

სან. (აიღებს ჭიქას ხელში) აბა, ბატო-  
 ნებო, ავესეთ ჭიქები, მე ეხლა ვაღღერძე-  
 ლებ ქალბატონ სონას. თქვენ თითონ ხე-  
 დავთ, ჭრომ ჩემი ქება ზედმეტია. სონა რომ  
 საუცხოვო აღამინია, ამას მოწმობს ის ოჯა-  
 ხი, სადაც ის აღიზარდა. ქართულ ოჯახში  
 აღზრდილი. ნამდვილი ქართველი ქალი—  
 ი ვინ არის სონა. მაშ გაუმარჯოს სონას!  
 ურა! (უველანი ურას უვირან)

გიორ. (ტაშს უკრავს) ლეკური! ლე-  
 კური!

კოტე. აბა ლეკური!  
 თებ. (სონას) აბა, შვილო, შედი ოთახ-  
 ში, დაუქარ ლეკური, (სონა შედის ოთახში.  
 ორივე კარებს დაადებს და უკრავს ლეკურს  
 შანინოზე უველანი ტაშს უკრავს. გიორგი  
 თამაშობს, შემდეგ სანდრო, შემდეგ ეგნატე.  
 ის თავს უკრავს სადომეს. სადომე დიდხანს  
 უარზე დგას, მაგრამ ძალად გამოიფუნენ. თა-  
 მამობს სხსაცილად. სუფრასზე სხედან მატო  
 ანდონი და კოტე, დანარჩენები თამაშს უუ-  
 რებენ. ანდონი და კოტე ხელების შდით რა-  
 დცაებზე განცანებით დაზარაკობენ. ანდონს  
 გაზეთი უჭირავს ხელში)

აპოლ. (წამოდგება და უუვირის) არა,  
 თქვენ უნდა მითხრათ ვინ არის ეს კიკოლი-  
 კა, გესმით? უნდა მითხრათ.

კოტე (დამშვიდებით) თქვენც კარგად  
 იცით, ბატონო აპოლონ, რომ ფსევდონიმი  
 რედაქტორის საიდუმლოებაა და მისი გამო-  
 მომჟღავნება უზნეობა იქნება. (ამ ღროს თა-

მის თავეს დახებებენ და სუფრასთან შეგდენ უგელანს: გატეხული არიან. შესტყვერის აზო-  
ლონს და კოტეს და ვერ მიმხვდარან რა  
შესდეს. (გატეხული) რა ამბავია, ბატონე-  
ბო! რა მოხდა?

**აპოლო.** (აღელვებული გასუთს მიუშვებს) აი, ბატონო გენატე, ამ გახეთის რედაქტორი ეს ბრძანდება. (კოტეს უჩვენებს) და წიკითხეთ რა მარჯალიტებია მოთავსებული ამ გახეთში ჩემს შესახებ. ვილაც სალახანა კიკოლიკა თავზე ლაფს მისხავს. მე ვთხოვ ბატონ კოტეს შემატყობინოს ვინ ბრძანდება ეს კიკოლიკა; რომ შესაფერი პასუხი გავსცე. (გახტე გამოაჩინებს გასუთს და აფაღიერებს. დანარჩენები ამშვიდებენ აზოლონს და კოტეს. სალომე შიშით შესტყვერის აზოლონს და ვერ გაუბედნია რამე უთხრას)

**კოტე.** თუ პასუხის გაცემა გინდათ, ბატონო აპოლონ, გაეცით, განა ვინ გეტყვით უარს, გნებავთ ნახევარ გახეთს დ გითმობთ. ამისთვის რა საპირისპიროდეთ ავტორის გინაობა?

**აპოლო.** (შეტე აღელვებული) იმის პასუხის საჯალბანავად მცალია?! მე ვიცი როგორ პასუხს ვავეცემ მას. გამომდგარა ვილაც ოხერი და იდინს ლალატს მწამებს?! (გიბრძვის) განა რა ვსთქვი ისეთი გიორგი?

**გიორგი.** (უფიქრის) არაფერი, საიმისო არაფერი გითქვამს.

**სალო.** (წამოადგება და ესვრება) დამშვიდდი, შევილო, სირცხვილია!

**აპოლო.** (ძალად მოამშორებს) მომშორდი თავიდან, რა შენი საქმეა. (წინ წაიწვეს კოტეს) თქვენ უთუოდ უნდა მითხრათ ვინ არის ის ვაჭბატონი?

**კოტე** (შტეიტილ) ვე მე არ შემძლია. ვე ჩემი ზნეობის წინააღმდეგი იქნება.

**აპოლო.** ის კი ზნეობა არის, რომ ასე გამლანძღეს თქვენ გახეთში? განა რა ვსთქვი ისეთი?

**კოტე** (დამშვიდებით) ჩემო აპოლონ, შეუტდომელი რომის პაპი არ არის, ერთი ალიღულია მღვდელსაც შესტყველო, ხომ გაგიგონიათ, შეიძლება თქვენც მოგივიდეთ რაიმე შეტდომი, ეს გასაკვირალი არ არის.

**აპოლო.** (შეტე აღელვებული) მაშ თქვენც იმ წერილის აზრისა ხართ?

**კოტე** (შტეიტილ) ცხადია, რაკი ჩემს გახეთში მოვათავსე, თუ მთლად არა, ნაწილში მაინც.

**აპოლო.** (ცხტახებს, მუშტებს იქნებს, უგირას) მაშ თქვენი ყოფილა ის წერილი, თქვენი? (შიწვეს)

**კოტე** (ამაყად) თუნდაც ასე იყოს. ყოველ შემთხვევაში პასუხისმგებელი მე ვარ.

**აპოლო.** (უგირის) მაშ თქვენა ხართ, თქვენი? (უგებ გადმოსტება სტოლიდან და ეტემა კოტეს თმში, უგელანი გაშეშდება, ისე მოულოდნელად მოხდება უგელაფერი. გამოათრებს და უმწეადად სტეშენ ერთმანეთს. უგელაფერი აირევ-დაირევს. ქალება წივიან, სინასტული წაუგა და თებრა და შელანო ოთასში გაიყვანენ. სალომე სერთუკის კალთაში ებდაუტება აზოლონს და კარბისკენ ეწვეა. სერთუკის ნახევარი კალთა მთეხვება და სალომე დაეცემა. ფიცხვავ წამოსტება, საშინლად იდრიკება და კაჭკაბით ისევ დაუბდაუტება აზოლონს. დანარჩენები ამშვიდებენ. გაშეკლებს დროს ეტნატე წაიქტევა, საშინლად გაბნახდება და უგირის, პოლონ რეგორც იქნება გააშეკლებენ. აზოლონ კარბისკენ მიქვავს სალომეს, დანარჩენები კოტეს ამშვიდებენ)

**კოტე** (ბრაზი ახრჩობს. მუშტის ქნევით) დამ ცა შე წუპაკო, შე სალახანავ, იქ გამცემ პასუხს, დ მზაჩით ხელში, იქ, ტრიალ მინდორზე.

**აპოლო.** (შწანე დიმიდით) მობრძანდი, მობრძანდი, თუ გინდ ზარბაზნით, მზათ ვარ, მზად! შე რეტიანი!

**სალო.** (ეწვეა კარბისკენ) წავიდეთ შევილო, წავიდეთ!

**გენ.** (შიაყის ქედს, ზადტოს და ჯახს. უგირის) დაიკარგე, დარკარგე. შე მხეცო, გაუზრდელი. ოჯახი შემორცხვინე, თავზე ლაპი დამასხი დაიკარგე! აღარ გინილოს ჩემმა ზვალბმა.

**აპოლო.** (მთბრუნდება და უგირის) შენც შეგარცხვინოს და შენი ოჯახიც (კიდევ დანარჩენ უგირის, მაგრამ სალომეს ძალთ გაქვავს)

*ქ. იხეთო*

(გაგრძელება იქნება)

# ლეჩხუმის წინამძღოლი



ბოლანდელი წინანდელი  
† თავ. იასონ დავ. გელოვანი  
(ორმოცის შესრულების გამო)

## ჩემს გამზრდელს—იასონ გელოვანს

ნუგეზად მყავდი ღღემდე ცოცხალი,  
 აწ დამრჩა შენი ცივი ს მარი,  
 ღღემდე ვამბობდი შენს საღმრთოძელოს,  
 ეხლა დავიწყე შესანდობარი!

ჩემს ღაწვზე ცრემლი არვის უნახავს,  
 გულს წვეთდა თვალით დაბრუნებული,  
 მხოლოდ მას შემდეგ ვსტირი ყველას წინ,  
 რაც შენ წვალებით დალიე სული!

ვით არ ვიტყვი! ჩემის ცხოვრების  
 იყავ საუნჯე და განძი ღიდი,  
 შენ მიმშვენიებდი სიყმაწვილს წლებს,  
 იმედებს ჩემსას თან და თან ზრდიდი!

შენ იყავ ჩემი სულის მშვიდობა,  
 სიყვარულის და სიკეთის წყარო,  
 სამღვთო სიტყვები: „ღედა და მამა“,  
 შენთან დავმარხე, დაუვიწყარო!

რ. ლეჩხუმელი

ორმოცი დღის წინად, 12 აგვისტოს ქუთაისში კარდაიცვალა ლეჩხუმის მახრის თავად-ახნაურთა წინამძღოლი იასონ დავითის ძე გელოვანი. განსვენებულს მსხდის გაფრქვის დროს პატარა დანით ხელის გაჭრა და სისხლის მოწამვლის გამო პატარა კრილობის

მსხვერპლი გახდა. იასონი 70 წლის შიღვეული მახუცი იყო, მაგრამ უკანასკნელ ღღემდე მხნე და ჭანსადი. როცა მის ცხედართან გუგუდით-ქული სტიროდა, მისმა ამხანაგმა თავადმა დიმიტრი უიფიანმა ჭკითინით უთხრა: „მომჯადობელი ადამიანი დაგვეკარგე, უსწავლელი იყავ, მაგრამ შენის საუბრით ნასწავლებს ჭხიბლაგდი, ღარიბი იყავ, მაგრამ მდიდრებს მუდამ მდიდარი ეტანე, რაჭა-ლეჩხუმს არ გასცილებიხარ, მაგრამ ამას არც ერთი შენი მნახველი არ დაკრებდა.“

მართლაც განსვენებული ერთობ ახუისებური კაცი იყო. მისებური მომხიბლავობით იშვიათად თუ ვისმეს აწილდებენ ბუნება. ერთობ მიმხიბველს კარგეული შეხედულებით და ფრთხილ ტკბილს მოსაუბრეს შეუდარებელი ხსოვნისა ქონდა. იგი შირდაშირ წყარო იყო ჩვენს ლიტერატურაში ჭარბად უცნობი, მაგრამ ისე კი ჩვენში მრავლად განხუჯ იგავ აჩვენებს და მოსწრებული სიტუებისა. კრებაზე თუ კერძო საუბრის დროს მას მოწვევდა აუარებელი შედარება ამ იგავ-არ კებისა და მოსწრებული სიტუებებიდან, და მუდამ ისე საინტერესო, რომ მსმენელი მოხიბლული რჩება. ზედმიწევნით ქონდა შესწავლილი საღმრთო წერილი და საკრთოდ ჩვენი ძველი მწერლობა. ბევრი მისი უცნობი არც კი დაიჭერებს, რომ განსვენებულმა ბიბლიის ერთობ ბევრი ადგილი, მთელი სახარება, დავითის ფსალმუნა, ვეფხის ტყაოსანი, მოუწავიანი, ჩახრუხაძისა, შავთელის, არჩაღის და შეფე თემურჩაძის ნაწერები მთლად ზეპირად იცოდა. როგორც თითონ ამბობდა, მას-



ჯარის-კაცი  
ივ. ზ. იმედაშვილი  
ტყველ წყევანილი გერმანიის ფრონტზე.

ჯარის-კაცი  
კ. თ. ლობჯანიძე  
გერმანიის ფრონტზე დაჭრილი 9 აგვ.

წავლენები მას არა დროს არა ჰყოლია, წიგნის კითხვა თურმე უუვარდა და შთელი თავისი ცოდნა აქედან გამოიტანა.

ჩვენში რომ დიდკაცებს უძახიან, ამ ბოლო ხანებში იასონი მათ შორის ერთი პირველთაგანი იყო, და ეველას ვინც კი რაიმეზე მიმართავდა, დაუზარებლად შეელოდა. ისე უბრალო და თავისიანი შესხედრბა იცოდა, რომ მასთან არას დროს კაცი თავს უხერხულ მდგომარეობაში იკრძნობდა და გული უოველთვის მიიწევდა მის წინაშე გადასაშლელად. როგორც თავადი, იგი თავის ინტერესებს არ დალატობდა, მაგრამ გლეხებთან მუდამ ჭკვიანური, წინ დახედული დამოკიდებულება ქონდა. ბატონ-უმობის გაუქმების შემდეგ დარჩენილი დროებითი ფაქტობულობა მის გლეხების მტრად ავიდებოდა შიანდა. ამიტომ ემბებისაჲნ ნაწილი მიწებისა მიიღო და, ორიოდეს გარდა, იმ თავითვე განთავისუფლდა. 1905 წ. განმთავისუფლებელმა მოძრაობამ იასონის უფროსი, 28 წლის ვაჟი შამში შეიწირა. იგი, როგორც პირველი მსხვერპლი, ხაფხა დიდის ამბით დაიტირა და დასაშინდა. ეს გარემოება ფრთხვარ შემართებელ ხიდად დარჩა იასონსა და გლეხებს შორის. საერთოდ იასონთან გლეხები იმდენად დამაში აყენებ, რომ ხშირად უბრალო, მსხლის ფასად სადიტად რამეზე წაიყვანდენ და შთელ დაწესებულებებს ჩამოარბინებდენ. თუ კი ერთხელვე რაიმე საქმეს თავს გამოიდებდა, შემდეგ იმას რთავდ უნდა დასჯდომოდა; გაიტანდა. ბევრს გაუგვირდებო კიდევ, იქნება რც კი დაიჯრონ, მაგრამ შეშინდ ვამბობ სრულ ჭეშარიტებას, რომ შთელს ჯენხუში ქვედა ხვანეთით არ იქნებოდა სულ 50 გლეხი, რომ იასონს არ იცნობოდა. დიდი უმეტესობის იცოდა სახლი და აჯახური მდგომარეობად. ხშირად ერთი წლის შემდეგ გაიგებდა, რომ რომელიმე გლეხს ვინმე მოუგვდა, უთუოდ მონახუდებდა ჭირისუფალს და რთიმი ანუტეშებდა. რხაირად მიანდა იგი გლეხებს, შკათხეჯი გაიგებს შემდეგიდან: ერთი თავისი მამული, ეგრედ წოდებული ჟოშხა, მან თავის სიცოხლეშივე მისცა შვილსა და რძალს. ამ უკანასკნელთა სასახლოდ უნდა ვთქვა; რომ მამულში მომუშავე გლეხებს ერთობ ნდობით და კარგად ექცევიან, ზოგჯერ იასონი საუველუ-

რობდა კიდევ ამის გამო. გლეხები ასაღვარდებო არიან, თავადების არაფრად მოყვარულნი და ჩემი კარგი შეგობრები. უოველთვის როცა ვკითხვავდი: რისთან გერჩიათ თუ შვილთან გირჩენიათ თქო“ მიპასუხებდენ: „რისონის ხელი“ ში გვერჩია, მაშინ ჯობდოოა. რომ გლეხებს განსვენებული იასონი უუვარდათ, აქედანც ჩანს, რომ მის კუბოსთან 3000 გლეხზე მეტმა მოყარბ თავი და ერთიც არ დარჩენილა რომ არ ეტირას.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში შინც იასონი ძალიან თვალუერს აღვენებდა და ძალიან დაინტერესებული იყო ჩვენებური საზოგადო საქმეებით. თავად-აზნაურბობის თუ სხვა კრებებს ქუთაისში არ აკლდებოდა და უოველთვის დიდ უურადლებას იტყვევდა თავისი მიუდგომლობით და შედარებით სადი მსჯელობით. როგორც ზევითა ვსთქვი (ძველი დროის კაცი იყო, კლასიკური ცოდნა მას არ ქონდა, მაგრამ საამდროო კითხვებზე ისეთ საუბარს დაგიწებდათ, რომ აღტაცებაში მოხვიდოდით. გავლენა და ნდობობა ჩვენებური კაცის პირობაზე იასონს დიდი ქქონდა, მაგრამ შვირალა კაცი არ იყო და ეს ნაკლებად ჩანდა. მას მეგობრბობდა, სხვათა შორის, პრინცი ოდდენბურგელი, რომელმაც ამ ბოლოს კავკასიის ფრონტისთვის 5 სანიტარული ტრანსპორტის შედგენა მიანდო თ. იანოს.

განსვენებული თავად-აზნაურთა წინამძღოლად თითქმის 20 წ. მსახურებდა. როგორც ეველას მოეხსენება, სამხედრო საკრებულებებში, სხადც თავად-აზნაურთა წინამძღოლნი თავმჯდომარებბენ ჯარის კაცების სამხედრო ბეკარხზე გაწვევის დროს, დიდი ცოდვები ტრიალებს, შევიცი ისეთი სოფლის საზოგადოებები, სხადც საგლეხო ყრილობაზე განაჩენებიც კი შეადგინეს: რქრთაში აღარ გავიდოთ, თორემ ამოვარდითო“. ჯენხუში ამ მხრივ სრული წესიერება იყო და უბრალო საუველდურს თუ გაიგონებდით, ეს უთუთ კუდაზიკა აზნაურის ან თავადისკან: რმარშელს რომ მოენდომებია, ჩემი შვილის მაგიერ ვაძახს აკრევიებდა თაყსო“.

უკანასკნელ წუთებში ჰხედავდით სასიკვდილო სარტეულზე დაღებულს მომჯადოებელ-მოხიბლავი სახის მოხუცს, რომელიც სიცოცხლე-

# ავითვალ

(დასასრული. იხ. „თ.“ და ც. № 35—36)



## † ნინო აბაშიძის ასული

ქიათურის დრამ. წრის წევრი—სცენის მოყვარე, სცენაზე გამოვიდა 4წ-ს წინად. ერთგულად ემსახურებოდა და თვალსაჩინო ამაგიც დასდო. თავი მოიკლა 24 აგვის. სოფ. ქალაში, რამაც გული დასწყვიტა მის ამხანაგთ—სცენის მუშაკთ.

მისუსტეულის კი არა, საშინელი სისუსთოთ გაღვიძებული გრძობით ეთხრობოდა და უგუი ენა დაკარგული საბედისწერო სიტუცია: „მშვიდობითა“-ის მკვირად ტკბილი სიყვარულიანი დიმილით ეთხრობოდა თავისიანებს.

აგადმეფის უფელ დღე ნახულადგენ ქუთაისის გუბერნატორი ბ. ზატუღაფო, ეპისკოპოსი გიორგი, ბერი ნაწნობ-მეგობარი, ხალხი და, სხვათა შორის, ლეჩხუმელან განგებ სახსაყად ჩამოსული გლეხებიც.

საკათედრო ტაძარში განსვენებულს გრძობიერი სიტუცია უთხრა ეპისკოპოსმა გიორგიმ, შემდეგ იგი ქუთაისიდან ლეჩხუმისაკენ შირს გააღიდა მთელმა ქუთაისის სასოკადობებმ, გუბერნატორისა და ეპისკოპოსის თანა დასწრებით. საფოსტო სადგურ ნამახვანამდე ცხედანს აჭეუა 40-ზე მეტი ეტლი გზა და გზა ს. მექვენაბს, ქორენიბს, ტვიშს, ღვინოს, ალხანას და ჭილეებს ცხედანს უხვდებოდა: თანობით ხალხი და უფელს გულდათუთქული სტიროდა. სამწუხაროდ მე ხელთ არა მჭეეს, არც ვინაობა ვიცი ზოგის, თორემ ზოგიერთების საურადღებო სიტუცეებსაც მოვიყვანდი.

გასვენების დღეს სოფელ ახალჭადას 4000 კაცზე მეტმა მოიყარა თავი და მწარე გლოვით დასამარეს კაცი, რომელიც ჩვენში საერთოდ მნიშვნელოვანი იყო და კერძოდ ლეჩხუმში-გი უფელსე უფრო დიდი და უფრო კარგი. აქაც გრძობიერი სიტუცებით გამოეთხრევენ სტუდენტები ასათინი, გაბიანი, მღვდელი მარტინი, ჭევიშის სასოკადობის გლეხების წარმომადგენელი და სს.

6—ელი

სულიერად და ხორციელად დატანჯული რასულა თავისს სახლ-კარს მიადგა, თავისს ძველს ქობს, სადაც თავისი ერთად-ერთი დაცოლშვილებული ვაჟიშვილი ეგულებოდა. მაგრამ აქაც გასწირა ბედმა და აღარ აცალა სიამით დაელია სიცოცხლის დღენი. მისვლის დღეს რასულას ვეღარ ეცნო ერთი თავისი ზაქთაგანი, რომელიც ძალზე გასუტე-ბულიყო და ეკითხა შვილისათვის:—ეს ვისი ზაქი შესულა ჩვენს საქონელში, რა მშვენიერია, ძალზე სუქანი და ფიცხიო. მეორე დღეს ზაქი მკვდარი ენახათ ბავში.

ეს ამბავი გლვასავით გავარდა მთელს სოფელში და შეიძრწუნა მრავალნი. ჯერ რასულას დაბრუნება სრულიად არ ეპიტნავა სოფელს და მერე გაიგეს თუ არა ზაქის ამბავი, ყველანი ამირიზნენ და გაბოროტდნენ. აღარ იცოდნენ რა ექნათ, როგორ მოეცლოთ საქმესათვის. სოფელი ცრუმორწმუნეობის ქსელში გაეხვია და ცდილობდა რასულას ბრძკვალეებისაგან თავის დახსნას. რასულის სახლის ახლოს გამვლელი ცხენს და საქონელს წინდაწმ ნვე ნეხვით ან ლაფით მისვრიდნენ, თუ რასაკვირელია საქონელი კარგი შესახედავი იყო და ისე გაატარებდნენ ხოლომე, რომ რასულას თვალი არ ეცა. სოფელში თანდათან მოუხშირეს რასულაზე ლაპარაკს, საკმა-



ზორუჩიკა

ალ. ივ. თვარელიძე

ოსმალეთის საზღვარზე დაჭრილი. წარდგენილია ჟილდოზე—ანა მეოთხე და სტანისლავა მესამე ხარისხზე.

რისი იყო მისი გავლა სოფელში, რომ მეორე დღესვე დაეწყოთ ლაპარაკი.

— ამა და ამა ცხენს, ხარს, კამენს, ბაეშეს, რასულამ გუშინ თვალი სცა და მოკვდა ან ავად გახდა, — ერთი სიტყვით ვასაკი რამე უბედურობა დაემართებოდა, რასულის ავ თვალს აწერდა.

ბევრი იწვრილეს, ბევრი იკითხეს სოფელელებმა რა უყოთ, რა ნაირად უშველოთ საქმესო და ბოლოს ერთმა სხვაგნით მოსულმა ჰაჯიმ ასე ასწავლა: — როცა პარასკევს დღეს რასულა მეჩეთში მოვიდეს, ნამაზის გათავების შემდეგ დაიჭირეთ და ყველამ სათითათოდ ჩაფურთხევით პირში და შესძახეთ — შეგიტყუებოდა ნამუსი და კაცობა შე ეშმაკის კერძოვო და ამის შემდეგ მის თვალს მნიშვნელობა და ძალა დაეკარგებოდა.

პარასკევი დღეა. მეჩეთი პირამდის სავსეა ხალხით, ავი თვალის დასაგმობად დიდძალ ხალხს მოუყურია თავი. გათავდა ნამაზი, ხალხი მეჩეთიდან ფეხს არ იცვლის, ავი თვალის პატრონს დაეძებს გაფაციცებით, მაგრამ იგი არც სხად სჩანს. მეზობლებმა სთქვეს რასულა გუშინა და დღეს არსადა სჩანდაო.

ტყუილად უცდიდა ხალხი, არც შემდეგ გამოჩენილა სადმე რასულა. ერთნი ამბობდნენ მექას წავიდა ცოდვების მოსაგნანებლადო, საქმის ახლო მკოდნენი კი გაიძახოდნენ შორს სხვა სოფელში გადაიკარგა დროებითაო, რათა შერცხვენისა და შეურაცხყოფისაგან თავი ეხსნაო.

სოფელმა კი ჯერ-ჯერობით თავისუფლად ამოისუნთქა.

ზ. ედილი

### სისოცხლე მსურდა

სიცოცხლე მსურდა წყნარადა, გული კი არა სცხრებოდა, ბნელ წყვილითა დაბურულს მზის სხივი მენატრებოდა. ბედშავთ სიკეთის ძებნაში ბასრი ეკლები მხვდებოდა, მიგნით ნაკოლი წყლულისგან სისხლი ღვართქაფად მსკდებოდა,

მე მაინც წინ მივიწვედი, მუხლი არაფრით დრკებოდა, მტერი მე მსჯიდა — მე მასა, ბრძოლაში სული სტკებოდა. უკმეხობასა ვებრძოდი, იგიც ფეხ და ფეხ მყვებოდა, უმზერდი მოძმეს მონად ქმნილს, გულსა ლახვარი მხვდებოდა. იმათ შველასა ვლამობდი, გული იმათთვის კვდებოდა, ჩემი ყვირილი, ყიჟინი, ცა და მ წისა სწვდებოდა. სიკვდილსა გვანდა სიცოცხლე, ფეხზე არაყინ დგებოდა, ვითარც სანთელი ცეცხლისგან, ხორცი ჯავრასგან დნებოდა. გულიც იმისთვის შფოთავდა, შფოთავდა — აღარ ცხრებოდა; ბრძოლის ქარცეცხლში დაქანცულს მოსარჩლე მენატრებოდა.

გ. შინატხელი

## შეპითვა-პასუხი\*) ეშის მადლობა

ბაქოს 1-ელ გემნაზიიდან ი.ჯიშკარიანისაგან მომივიდა შემდეგი შეკითხვა:

„პატივცემულო ბ.ნო მოსე, ბავშობისას გამოგონია იმერეთში სიტყვა „ეში“, „ეშის მადლობა“ „ეშს ფვიცაგ“. შეიძლება ვცდებოდე. შარშან ამ ხასიათის სიტყვების გადაბმას წავაწყდი ერთ-ერთ ძველ ენაში. ძალიან მინდა გავიგო თქვენი აზრი ამ სიტყვის შესახებ, არის თუ არა ქართულ ენაში სიტყვა „ეში“, ეშის ფიცი და თუ არის, რა დროის ნაშთია, აქვს თუ არა ფესვი ამ ფიცს უფველეს ხალხის სჯულის რწმენაში. ვიცი, თქვენი შრომებიდან, რა სიყვარულით ეკიდებით ყოველნაირ ცოდნას და ამის გამო გავბედე თქვენი დაკითხვა.“

შეკითხვა ძალიან საყურადღებოა. აქამდის მე ვიტყვი ფიცილი მზით (ზისმა)

\*) ვებტლავთ ამ წერილს და ამასთანავე ვაცხადებთ, რომ თუ ვისმეს მოეპოება ძნელად გაპარკვევი ტერმინი, ცნება, შემოგვეკითხოს და თუ ჩვენ სათანალოთ ვერ განვმარტავთ, შეკითხვას მაინც დავბეჭდავთ შემდეგი თაობის საყურადღებოდ.

რად,

წყლით (წყლისმა), ცით (ცისმა), მარილით (მარილისმა), ხარის ქედით, ღვითით (ღმერთისმა) სჯულით (სჯულისმა) და ახლა ამას ემატება ეშისმაც, ეგების იფოს კიდევ სხვა ფიცილებიც. ამგვარს ფიცილებს ჩვენ გადავუყვართ იმ თვალუწვდენელ დროში, როდესაც წმინდოთ ხალხებს და მათ შორის ქართველებსაც ღმერთებად მიაჩნდათ თითქმის ყოველი ქმინილება ზესკნელებისა და ქვესკნელების (ანიმისტური ხანა).

გერ ვიტყვი, რომ ეში იფოს წმინდა ქართული სიტყვაა. ყოველ შემთხვევაში ჩუბინა-შვიდს, ქართულ სიტყვების უხვად გამწვანებულს სომეხთა, სპარსთა და ანბათა შორის, არ აღუნიშნავს, თუ ვის და ვის ეკუთვნის ჩვენი ეში. მაგრამ თუნდაც იგი სხვა ენებშიაც არსებობდეს მაინც ეს იმის მომასწავლებლად არ ჩაითვლება, რომ იგი უსათუთ ნასესხი ლექსი იფოს... ეგების მას ქქონდეს ნათესაობა სიტყვებთან სხვი (შხვი), შუქი და ეშისანი ნიშნავდეს სხიოსანს, ხალა ეში... სხივს („ე“ მოძრაობა ჩვენს ენაში. შუადრე: ენა — მეგრ. ნინა, სვან. ნინ; ეკალი — მეგრ. კალი, ეში — შვი (შ ნუშტ. 9, 21; ანავი სოლომონისა წარვიდა თარშით სავსე თქროთა და ვერცხლთა და შვითა ნიღოღსათა...“ იხ ნუსხები № 51 (შუა მავიერ ეში-სა), № 570 — შვი № 646 შვი).

კომინტის ამბობს ოდისეაში (XII, I), რომ არგონაოსნები მივიდნენ კუნძულ აიას (კოლიდას), საცა ანაოს სცნობდნენ და ადგილი ეთისისა (მთიების, ტისკრის), საცა ქელიოსი (მზე) ამოდისო. ხალა დიდდორ სიცილიელი იხსენიებს თვით მზის ტაძარს, რომელიც იმყოფებოდა ზღვის შირას დარომელშიაღ შეფარებული ზეთის ქალი შედგა მიემსრო არგონაოსნებს. ძნელია მტკიცება. მაგრამ გვინდების თქმა, იმ ეასის და მზის ტაძრის ნაშთი ხომ არ არის ისტორიული დროის კლარჯეთის საუდარი ეაში? ქართველები ხომ, მართლაც, ტისკრის ანუ მთების შირველ სხივებს თაყუანს სცემდნენ: მირიანმა და ნინომ შირველი ჭვარი აღმართეს მცხეთის შირდაშირ მადლა აღზიდულ გორაკზე, რათა მცხეთელებს ამომავალი მზის

სხივების შავიერ თაყუანი ეცათ სხენებულ ჭვრისათვის.

ყოველ შემთხვევისათვის, ბ-ნ ი. ჯიშაკაიანას მიერ აღძრული კითხვა ფრად საკულისხმიერია. „ეშის მადლა“, „ეშის ვიცილება“ ნუ თუ დიდის უმწიკველ სხივი, შუქი ითვლება შვენიერების ღმერთის გამაზიარებელად საქართველოში, ამ ძველადანვე შვენიერების თაბულად მიხეუდს ქვეყანაში?

**მ. ჯანაშვილი**

**ტოტის მოგზაურობა**

როდესაც ტოტის სიმშლით ჰარაქათი გამოელია და იგრძნო, თუ კიდევ რამოდენიმე დღეს გავჩერდი სოფელში, ფეხებსაც გავქიმავე და განვისვენებ წიადსა შინა აბრამისასო, მიაფურთხა თავის ნახევრად დანგრეულ ქოხს, და ქალაქისაკენ გაეგზავრა ლუკმა-პურის საშოვნელად. მახლობელ სადგურზე ნახა ქალაქისაკენ მიმავალი მატარებელი და ვაგონის სახურავზე აკოცდა, რათა უფასოდ ჩასულიყო ქალაქს. არ გასულა ერთი წუთი, რომ კიბებზე ამოვიდა ხმტვიანი რუსი (მატარებელი საშხედრო იყო).

— Ты куды залъзъ!..

— ვავიარჯოს ღმერთმა, ჩემო რუსო!

— Слъзай!..

— ვცხოვროვ ისეთ, რავარც შეეფერება ახლანდელ დროს.

— Слъзай, тебъ говорятъ.

რუსმა წაატანა ხელი ტოტის და შეაჯანჯგალა.

— პასტოი, რუსო. ქართული არ იცი შენ?... იმე, იმე! მეტყინა, ბოშო, კისერი!.. „ია, რუსო, სიმინდი ანიატ“. „ზღეს“ კუპ (მუცელზე უჩვენებს) ცარიელია. ჩემი ცოლი კახანია „პომერ“, ჩემი შვილებიც „პომერ“... იმე, დამაცადე, ბოშო, გითხრი ჩემი გაქორვება: „ია“ კამა „ხოჩიმ“... მშია, ბოშო. კამა მინდა ასეთ ამ... ამ... (პირით აჩვენებს).

— Ты еще, пожалуй, кусаться будешь.

\*) „მა“, „მანი“ თითქო უღრის ბერძნულ საფიცილო „მა“-ს: „მა თუს თუს“ — ვფიცავ ღმერთებს.

ამ სიტყვებით რუსმა კიბგზე ჩამოაგორიალა ჩვენი ტოტია.

— Ну, и авъри же эти кавказцы!

ამით გათავდა ტოტიას მოგზაურობა.

გუგუული

ქართული სახიობა

სახალხო სახლში სახ. წარმოდგენების მმართველ წრეს თითქო აღთქმა დაუდგია, ხალხი მხოლოდ უცხო პიესებით ჰყვებოდა და ხშირად ისეთი პიესებით, რომლებიც სახალხო სახლის მრეგლის უმეტესობას ამოტყნარებინებს. გასულ შაბათს დასდგეს „ვილჰელმ ჰენშელი“ ალ. იმედაშვილის მონაწილეობით, რეჟისორ კ. შათირიშვილის სახელწოდებით უნდა ითქვას, რომ პიესამ საუცხოვოდ ჩაიარა. ალ. იმედაშვილის მიერ დიდის ოსტატობით გაპირავენებული ჰენშელი სუტხვოდა ხატება. დამსახურებული სცენის მოყვარე ნ. გოცირიძე აცინებდა მაყურებელთ, კარგადაც ასრულებდა თვის როლს, მაგრამ მისგან უფრო მეტს მოვიტხოვთ. ბოლო სცენაში დრამატის სიძლიერე თითქო ვერ შეეგნო და „ეკიმი ხომ არ იქნება საჭირო“ ისე სთქვა, თითქო — „ეტლს ხომ არ იწებებთო“. პატივცემული მოღვაწე-მსახიობი ერთნაირობას უნდა ვერიდოს, თორემ კარგი არ არის, როცა ყოველ როლში მხოლოდ „ჩვენს ნიკოსა“ ვცნობთ. ელ. ციმაკურიძე (ანნა) რადენათაც პირველ სამ მოქმედებაში იყო ბუნებრივი, იმდენად მოისუსტებდა უკანასკნელ სცენაში. პიერეტამ ცქრიალა და სიცოცხლით სრული, საუცხოვო სურათი შექქნა, მ. ჭიაურელი პატარა ებრაელის როლში უსიტყვოდ მეტყველებდა, ყოველი მისი მიმოხვრა, ღიმი, გამოხედვა — უმაღლესი მხატვრობა იყო, — მხოლოდ გამოთქმის, აქცენტის მთლიანობა ვერ დაიცვა, გ. ანაშვილი — იდეალური მეჯინიბე-ლოთია. გინდოდან თვალმოუშორებელი გეცქირნათ. ვ. ნინიძემაც სრული სახიერება გვიჩვენა. სამწუხაროდ პირველ მოქმედებას ვერ მივუსწარით და ვერაფერს ვიტყვით. წარმოდგენა გვიან გათავდა. კიდევ ერთხელ მოვაგონებთ სახ. თეატრის მესვეურთ, რომ მშრომელ ხალხს უფრო აღრე ჰმართებს სახლში დაბრუნება დასასვენებლად.

უსამართო

სახალხო სახლის აშენება კარდენახში ჯერ ისევე 1912 წ. განიზრახეს. ამ მიზნით იმევე წელს გაიმართა პირველი წარმოდგენა („ბაიუში“). სცენის მოყვარეთა უმრავლესობა თითქმის პირველად გამოვიდა სცენაზე და მათი მოღვაწეობაც ამ ხნიდან იწყება პირველმა წარმოდგენამ საყურადღებოდ ჩაიარა და სცენის მოყვარეთ სახელი მოუხვეჭა, ამის შემდეგ ხშირად იმართებოდა წარმოდგენა-სალამოები, მაგრამ სამკითხველს დაქვეითების გამო, შეგროვილი ფული გადაეცემოდა ხალხს სამკითხველს გამარჯობის თაოსნობითაც შექმნილ იქნა კარგა მხარდელი ადგილი. სამკითხველს უნუგეგმო მდგომარეობამ თითქოს ჩაქლა სახალხო სახლის აშენების სურვილი.

ამა 1915 წ. გამართულ წარმოდგენის შემოსავალიც (69 მ.) სამკითხველს გადაეცა, ამ წარმოდგენის შემდეგ სცენის მოყვარეთ ხელახლა აღძვრათ სურვილი სახალხო სახლის აშენებისა, წარმოდგენის გამართვაც განიზრახეს, მაგრამ რაკი პატივცემულ თინათინ ფორაქიშვილისამ გამართა „წარმოდგენა-სალამო“ აპარლები და ქართულ დამწვარ თეატრის სასარგებლოდ სცენის მოყვარეთ თავისი განზრახვა შესცვალეს, და ქ-ნ თ. ფორაქიშვილისას სთხოვეს შემოსავლის ნაწილი კარდენახის სახალხო სახლის თანხად გადაებულიყო ქ-ნ თ. ფორაქიშვილის დაუღალავმა შრომამ და უხვმა შემოწირულებამ „წარმოდგენა-სალამოს“ შესძინა წმინდა შემოსავალი 330 მ. (რომელიც იშვიათია სოფლად) ხოლო ამის მესამედი — 108 მ. 40კ. სცენის მოყვარეთ გადაეცა სახალხო სახლის ასაგებ თანხად

ვიმედოვნებთ, რომ სახალხო სახლის აგების განზრახვა საქმედ იქცევა, მით უმეტეს, რომ წარმოდგენაზე დამსწრე მახიობქალმა ქ-ნ ელო ანდრონიკაშვილმა სურვილი გამოსთქვა ამ საქმეს გაუძღვეს. და, იმედია, უანგარო შრომასაც მ იღებს თავის სამშობლო სოფლის საკეთილდღედ.

კარდენახში

ს. ზალახთაშვილი 15 აგვ. ადგილობრივ სკოლის დარბაზში სტ. მიხეილ ტყავაძის მეთაურობით სცენის მოყვარებმა უფასოდ წარმოდგინეს ა. ცაგარლის „ქართველი დედა“. ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენის დაწყებამდე მ. ტყავაძემ ხალხს განუმარტა პიესის შინაარსი, თეატრის აღმზრდელობითი მნიშვნელობა და აგრედვე ის, თუ სხვა ქვეყნებში როგორ ვეპრობიან ამ ხელოვნების უწიდეტ ტაძარს.

წარმოდგენამ ძალიან მწყობრად ჩაიარა. მონაწილეობდნენ: ს. კუპრაშვილი (მარინე), ა. კაპანაძე (ლეილა), ლ. ყიფიანი (ფატმან), ა. სუჯაძე (უსუფ ფაშა), კ. პატარიძე (სულეიმან-ბეგ და ლუარსაბი), ელ. პატარიძე (ომარ-ხან), პ. ყიფიანი (პაპუა), მ. ტყავაძე (განტანგ), ს. ჭირაქაძე (ბეჟან) და გ. დარახველიძე (ქაიხოსრო) დიდი მადლობის ღირსია სტ. მ. ტყავაძე, რომელიც სოფლის გათვითცნობიერებისთვის არაფერს ზოგავს...

სუქური

დ. ყვირილაში ქართ მსახიობთა ამხანაგობის საზაფხულო სეზონი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბ-ნი ვ. ურუშაძე, 23 აგვ. დასრულდა. ბ. ურუშაძის შრომის მოყვარეობით კვირაში ს.მ წარმოდგენა იდგმოდან. ესწრებოდა უმთავრესად ინტელიგენცია და მოსწავლეი ახალ-გაზობდა. ს.მწუხაროდ ხელ-მისაწვდომი არ იყო დემოკრატიისათვის. ასეც იქნება,

სანამ წარმოდგენები ადგილობრივ საკრებულო დარბაზში გაიმართება. სულ გაიმართა 17 წარმოდგენა, აქედან მხოლოდ რამდენიმე პაესა იყო ახალი; სამწუხაროდ ურუშაძემ გვერდი ვერ აუქცია ძველ „ისტორიულ“ და ფარსისებურ პიესებს, რომლებიც ჯერ ერთი ინტერესს მოკლებულია, და მეორეც ის არის უბედურება, რომ მათი („სამშობლო“ „და-ძმა“ და სხვ.) დადგმა პატარა სცენებზე პირ და პირ კარიკატურულ სახეს ღებულობს. ალბად ჩვენს მსახიობთ ეზარებათ, რომ ახალი პიესების დადგმას გაურბიან და ძველი პიესებით უმასპინძლებიან საზოგადოებას.

ჩინებულად იყო დადგმული შემდეგი პიესები. „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ „კედაგოები“, „საბედისწერო დამრჩა“ „უღანაშუალოდ დასჯილი“ „ზღვასთან“ და „ცემბრელი“. ამხანაგობაში ირიცხებოდნენ: ქნინ-მარო ი მდივანი, დლობერიძე, სცენის მოყვარე ქალი ხუნდაძე; ბ-ნი: ვ. არაბიძე, ვ. ბარველი, სანდალიძე, ვ. ურუშაძე, ალ. ყალბეგიშვილი.

მონაწილეთა შესახებ არ გავაგრძელებთ სიტყვას, — ყვირილის საზოგადოებისათვის ესენი საკმაოდ ცნობილი არიან, — მხოლოდ რამოდენიმედ გვინდა აღვნიშნოთ მ-ნ ალ. ყალბეგიშვილის ხელოვნება. ათი-თორმეტი წელიწადია, ეს მსახიობი ჩვენს სცენაზე მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში იგი საკმაოდ გაიზარდა ნიჭით და დღეს ნამდვილ რეალისტ მსახიობად მოგვევლინა.

ჩვენს სცენაზე მას განსაკუთრებული ალაგი უჭირავს, როგორც ინტელიგენტ მსახიობს... ყალბეგიშვილის თამაშში მაყურებელი ხედავს არა წინ და წინვე მომზადებულ აქტიორს, არამედ ადამიანის სულის იღუმალ მოძრაობის თან და თანობით ამხსნელ-განმმარტებელს, არც ერთი ყალბი ნაბიჯი, არც ერთი ზედმეტი ხელის ქნევა, ანუ სულიერი მღელვარების გაპომხატავი უთავბოლო ხვნეშა და ქშენა. ასეთ სიყალბეს რომ ვეღარ ვგუებთა დღევანდელი სცენა, სჩანს ეს ღრმთა აქვს შეგნებული პატივცემული მსახიობს. მხოლოდ ბ-ნ ყალბეგიშვილს ვურჩევდით ისტორიულ პიესებში ნუ იკისრებს ისეთი როლის თამაშს, რომლებიც ხელს შეუშლიან და ძალას დაატანენ მისი თამაშის ბუნებრივ სვლას.

ო. ბ.

**სოფ. საკთიშალაში** (გარე კახეთი) 22 აგვ. ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წარმოდგენამ („კოხში“ ივ. გომართლისა და „ადეკატი მელაძე“ ივ. მაჩაბლისა) საშუალოდ ჩაიარა. მოისუსტებდა ქ-ნი რომანოვეცი. ხოლო ქ-ნი დებს ბარძიმაშვილებს აკლდათ თავისუფალი მოძრაობა, კარგი იყო ბ-ნი წიგწივაძე (საჩინო), ოლინდ შე აფერი ტანისამოსი არ ეცვა. საჩინო სულ უკანასკნელი გლეხი და ასე მშვენივრად ჩაქმა დახურავს სიცოცხლეში ვერ ეღირსებოდა ასევე ითქმის შესახებ მწყემსისა, რომელსაც დაგლეჯილ ხოხაზე პრიალა („ლაკროვანი“) წაღები ეცვა.

უნდა ვიცოდეთ, რომ გრიმისა და ტანისამოსის შეუფერებლობა მსახიობის თამაშს ელფერს უკარგავს.

კარგი იყო ვოდვეილში ბ-ნი ი. თარალაშვილი, არა უშავდა რა სერგოს როლში ბ-ნს ბაღდადელს. ხალხი ნაკლებ დაესწრო, მიზეზი ადგილების სიძვირე იყო. მაყურებელთა შორის იყვნენ ადგილობრივი გერმანელი, რომელნიც დარბაისლურად აღვენებდნენ თვალ-ყურს ქართულ წარმოდგენას.

გოგლა პატარქეულელი

წ ვ რ ი ლ ი ა მ ბ ე ბ ი

◆ **ქართ. ღრამ. საზოგადოების** კრებაზე 14 ენკენ. აირჩიეს ვ. აბაშიძე, ალ. იმედაშვილი, ნ. გ. ქრთველიშვილი და გ. დ. ჟურული ქალაქის მოურავთან და თბილისის თეატრთა გამგეებთან მოსალაპარაკებლად, რომ ქართულ დასს რამდენიმე დღე დაეთმოს წარმოდგენების სამართავად. ნ ქრთველიშვილი უკვე იყო „საბარტ. საზ. თეატრის“ გამგეობასთან და კვირაში ერთი დღე გამოსთხოვა.

◆ **ქარღინაში სახალხო სახლის** ასაშენებლად თანხის შედგენას შეუდგნენ.

◆ **ახალგაზრდა მოსანება კიქანა ფხამილაშ** დასწერა ახლი ლირიკული პოემა „უამის ზღაპარი“. როგორც წამკითხველთ გადმოგვცეს, პოემა საყურადღებოა.

**დ. ყვირილაში** ქართ. მსახიობთა ამხანაგობის სეზონი დასრულდა.

◆ **ქართ. კულტურის მოყვარულთა** საზოგადოებამ მოაწყო საკუთარი ბინა კანცელარიითურ (საზოგადოების თავმჯდომარის გ. ყორღანიასთან, სასამართლოს ქ. № 26). რადგან დ. კასრაძემ მოუცულობის გამო უარი სთქვა, მდივანდ არჩეულ იქმნა „ახალი ქართლის“ ნარედაქტორალი დ. კარიჭაშვილი, საქმის მწარმოებელად — მგოსანი გ. ქუჩიშვილი. საზ-ბის ბინა საუტხოვოდაა მოწყობილი.

◆ **მოღვაწეთა აზარაკის** აშენება გადასწყვიტა ქართ. კულ. მოყვარულთა საზოგადო კრებამ 12 ენკენ. აგარაკი აშენდება წალვერში, ვაჟა-ფშაველას სახელზე. საქმის თაოსნობა მიენდო მ. მურმანიშვილს.

◆ **ახალი პიესები დასწერას** 1) დ. კობალმა „ორი სიკვდილი“, დრ. ეტ. 1 მოქ.; 2) გრ. მაკვათიანმა — „ახალი მსხვერპლი“, დრ. 4 მოქ.; 3) ვასო ურუშაძემ — „მყუდრო ოჯახში“, კომ. 1 მოქ.

◆ **„მთის შვილის ვაჟა-ფხამილას სიმღერები“** კრიტიკული განხილვა იპ. ვართავასი, რომელიც ამას წინაღ შემოკლებით დაბეჭდილი იყო „განათლება“-ში და გასულ კვირას ქართ. კულტურის საზ-ს სხდომაზე წაიკითხა, ცალკე წიგნად იბეჭდება ქართ. კულტ. მოყვარეთა საზ-ის მიერ. წიგნის შემო-

სავალი ქართველ მოღვაწეთა ავარკის აშენებას მოხმარდება.

◆ „ქართული ხანძრის ისტორია“ (1827-1915), შედგ. ნ. კიკინაძის მიერ, იბეჭდება და მალე გასასყიდად გამოვა. წიგნში მოთავსებული იქნება ძველ ქართველ მოღვაწეთა 30-დე იშვიათი სურათი: სოლომონ ლიონ ძის, სოლ. დოდაშვილის, კიკნაძე ბერის, პატრი ნიკოლასი და სხვ.

◆ „ქუთაისის ღრამ. საზ.სა და მსახიობთა ერთი ჯგუფის შეთანხმებით ქუთაისში შესვლა დასი, შალვა დადიანის რეჟისტრობით. ქუთ. ღრამ. საზოგადოებამ აღუთქვა თეატრის შეღავათიან ფასად დაქირავება, დეკორაციებისა და ტრანსპორტების მიწოდება, ხოლო ამ თვითვე ფულითაც დაეხმარა წინასწარ ხარჯებისათვის. წარმოდგენები დაიწყო 1 ოქტ. რეპერტუარი უკვე შედგენილია, ამაში 21 პიესა ორიგინალურია.

◆ შალვა დადიანი თბილის ჩამოვიდა დასის შესადგენად.

◆ ქუთაისის დასში, სხვათა შორის, მიწვეულნი არიან: მესხი, ა. შოთაძე, ს. ბეჟანიშვილი, პ. კორიშვილი, ი. ხარღალიშვილი და სხ.

◆ ორიგინალური პიმეზები 1) მ. ბოქორიშვილის „ენების ბრტყალებში“, 2) გრ. საქარიქედელის „მოსე მწერალი“ და 3) გრ. აბაკელიას „ქრისტიანობის განთავსებუ ანუ ადამიანი მხეცი“ შალვა დადიანს გადაეცა ქუთაისის სკენაზე დასადგმელად.

◆ ს. ა. ჯამბურაშვილი, სახალხო უნივერსიტეტის სექციის წევრად წამყვანი და ნაამდგარი მუშა, გარდაიცვალა.

◆ ახალგაზრდა მხატვრებს ალ. გრ. კიმაკურიძესა და ვ. სიღამონაშვილს განუზრახვეთ თბილისში მოაწყონ სამხატვრო სახელოსნო (სტუდია) მხატვრობის ცოდნის გასავრცელებლად. სწავლის ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდენი იქნება.

◆ ქართ. ისტ. ნაწარმოებთა დასურათბატება განუზრახვეთ მხატვრის ალ. გ. კიმაკურიძეს.

◆ ხარჭუნის კლუზში ვაშაფშავილას ხსოვნას აღსანიშნავად ამ მოკლე ხანში სადამო გაიმართება.

წერილი რედაქციის მიმართ

ქ-ნო რედაქტორს! უმოწყობესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“-ს საშუალებით ნება გვიბოძათ უდრეკისი მადლობა გამოუცხადოთ ქ-ნ თინათინ ფორაქაშვილისას და თ. გ. ვაჩიძეს, რამეთუც სოფ. კარდენახში 5 აგვ. გაწართულ წარმადგენა-სადამოს შემოსავლიდან კარდენახის ტყეების მოყვარეთა წრეს შემოსწარეს 108 მ. 40 კ. სსხ. სახლის ასაკებად.

პატივისცემით სტენის შაყვარეთა მანდაბილიანი ნიკ. დარაშვილი

რედაქტორ-გამომცემელს ანნა იმედაშვილისა

Доволено Военной Цензурой

Типография „Сорапаны“

ხარჭუნის საზოგადო კლუზი

მახვილის პრ. № 131

საუცხოვლო საზოგადო რატონდით, სტენით და მშენებრით, ელექტრონით განათებული ბალით.

შაბათს 19 ენკენ. ქართული წარმოდგენა „პეპო“ კ. ყიფიანის მონაწილეობით კვირას, 20 ენკ. სინემატოგრაფი, საზანდარი ორშაბ. 21 ენკ. საზანდარი. სინემატოგრაფი სამშ. 22 ენკ. სინემატოგრაფი ორკ. ოთხშაბათს 23 ენკენ. ქართული წარმოდგენა. ხუთშ. 24 ენკ. სინემატოგრაფი. ორკ. პარასკევს 25 ენკ. სინემატოგრაფი. საზან. შაბათს 26 ენკენ. თათრული ოპერეტა კვირას 2 ენკ. სინემატ. ორკ. ორკ. ორკ.

დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე. მესხველი ფასი: მამაკაცი იხდიან, — 30 კ. ქალები და სტუდენტები — 20 კ. წარმოდგენა იწყება 9 საათზე, სინემატოგრაფი — 8 1/4 ს., საზოგადო საღამო — 5. — 9 ს.

ნოვარები „სპროზა“

ახლად შეკრებულნი, საუცხოვლოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, გორბონის ქუჩის ბოლოში ნომრები ოთხი აბაზიდან. ნომრებში სმზარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოები (დუში და ვანა). თბილისი. მახვილის პრ. № 13. ტელ. № 14 (წ)

აფთიკა ქროფორის ა. ს. ანგლელიანის (სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის კროსზე) ტის კუთხე)



სტამბა „გორაპანი“